PDF Eraser Free

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნინო ხაჩიძე (პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი)

წევრი:

ინგა ბოჭოიძე (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☒ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☐ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

_____

_____

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 6 დეკემბრის N1179 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა დაწესებულების პირობების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-6, მე-7 და მე-8 მუხლებით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება. ამ მიზნით დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 24-25 დეკემბერს.

ვიზიტის დაწყებამდე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალები და შეადგინა დღის წესრიგი.

დღის წესრიგის შესაბამისად განხორციელდა დაწესებულების ხელმძღვანელობასთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრება; დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტების შემოწმება; პროგრამის ხელმძღვანელთან და მოდულის განმახორციელებლებთან შეხვედრა და გასაუბრება; სტუდენტებთან დაკავშირებული რეგულაციების განხილვა და პრაქტიკაში განხორციელების გადამოწმება; სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებისა და მათი შესრულების მონიტორინგის მექანიზმების შემოწმება; შენობის დათვალიერება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აღწერა და დოკუმენტაციის შემოწმება; ბიბლიოთეკის, რეესტრის (evet.emis.ge) შემოწმება; საქმისწარმოებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შემოწმება.

ვიზიტისას მიმდინარეობდა ჯგუფის წევრებს შორის გაწეული მუშაობის შედეგების შეჯამება და დაწესებულებისთვის წარდგენა.

ვიზიტის ბოლოს, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების წინაშე წარადგინა ვიზიტის პერიოდში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მატერიალური და ადამიანური რესურსების გადამოწმებით დგინდება, რომ უნივერსიტეტის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შემთხვევაში, არ იქმნება უნივერსიტეტის მიერ აკადემიური საგანმამათლებლო პროგრამების განხორციელების რისკი და არ მოხდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების დარღვევა.

უნივერსიტეტი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს სასწავლო სივრცეში, რომელიც მხოლოდ პროფესიული სწავლებისთვის გამოიყენება. საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“ განხორციელებაში ჩართული არ არის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი. შესაბამისად, არ იქმნება აკადემიური პროგრამების განხორციელების რისკი.

მდგომარეობა (ახალი/ არსებული)	**სტუდენტების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა**	**საგანმანათლებლ ო პროგრამების რაოდენობა**	**საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა**	**შენობა-ნაგებობების ფართი**	**მისამართების რაოდენობა და მდებარეობა** (ერთ მისამართზე/სხვადასხვა მისამართზე ერთ მუნიციპალიტეტში/ სხვადასხვა მუნიციპალიტეტში)
არსებული	15	1	9	2606 კვ.მ	ქ.ახალციხე, რუსთაველის ქ. N122ა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	☐	■
1.1	დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.	**მუხლი 6 / პუნქტი ა)**	■	☐
1.2	დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.	**მუხლი 6 / პუნქტი ბ)**	■	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

_____

_____

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

1.3	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.	**მუხლი 6 / პუნქტი გ)**	■	☐
1.4	დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები.	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	☐	■
1.5	დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	■	☐
1.6	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	■	☐
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	☐	■
2.1	დაწესებულების საკუთრებასა ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	■	☐
2.1.1	ერთ მისამართზე 400 კვ.მ შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)**	■	☐
2.1.2	სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)**	■	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

_____

_____

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

2.2	დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები;	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	■	□
2.3	დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას;	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	■	□
2.4	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში;	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	■	□
2.5	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა;	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	□	■
2.6	დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	■	□
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)**	■	□
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)**	■	□
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)**	■	□
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)**	■	□
2.7	დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის;	**მუხლი 7 / პუნქტი ზ)**	■	□
2.8	ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას; მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის	**მუხლი 7 / პუნქტი თ)**	■	□

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

_____

_____

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

	განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი;			
2.9	შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.	**მუხლი 7 / პუნქტი ი)**	■	☐
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	☐	■
3.1	დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს;	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	■	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი;	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	■	☐
3.3	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი შეირჩევა კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	☐	■

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

საუკეთესო გამოცდილება არ დაფიქსირებულა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

_____

_____

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ქვესტანდარტი 1.4 (ავტორიზაციის დებულების მუხლი 6 / პუნქტი დ)

პროფესიულ სტუდენტთა პირადი საქმეების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ ერთ პროფესიულ სტუდენტს, რომლის განათლების დოკუმენტი 1994 წელს გაცემულია რუსეთის ფედერაციის მიერ, არ აქვს წარმოდგენილი სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტი. შესაბამისად, დაწესებულებას კანონმდებლობისა და საკუთარი რეგულაციის დარღვევით ნაწარმოები აქვს ჩარიცხვის პროცედურა და პროფესიული სტუდენტის პირადი საქმის დაკომპლექტება.

ქვესტანდარტი 2.5 (ავტორიზაციის დებულების მუხლი 7 / პუნქტი ე)

საქმისწარმოება ხორციელდება სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქმისწარმოების ერთიანი წესის შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილებით (N24/17.07.2019 ოქმი N9). აღნიშნული წესით ირკვევა, რომ ხელმოწერილი ბრძანებები რეგისტრირდება ინდექსის მიხედვით სააღრიცხვო ჟურნალებში. ეს ინდექსებია:

- 1/01 - თანამშრომელთა ბრძანებების ინდექსი (თანამშრომელთა მიღება-გათავისუფლება, ხელშეკრულების გაფორმება, შვებულებაში გასვლა, საათობრივი წესით ანაზღაურება, პედაგოგთა მოწვევა, კონკურსების გამოცხადება);
- 2/01 - სტუდენტთა ბრძანებების ინდექსი (ჩარიცხვა, სტატუსის აღდგენა, შეჩერება, შეწყვეტა, შიდა და გარე მობილობა);
- 3/01 - მივლინებების ბრძანებების ინდექსი;
- 1 - საერთო ხასიათის ბრძანებების ინდექსი (უნივერსიტეტის ძირითადი საქმიანობა);
- 01 - მსმენელთა ბრძანებების ინდექსი (უწყვეტი განათლებისა და აბიტურიენტთა მოსამზადებელ კურსების მსმენელთა ჩარიცხვა);
- 3/001 - საფინანსო ბრძანებების ინდექსი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

დაწესებულების მიერ წარმოებული სააღრიცხვო ჟურნალები არ არის ინდექსირებული, ზონარგაყრილი, დანომრილი და ბეჭედდასმული უფლებამოსილი პირის მიერ. შესაბამისად, მათი გაფორმება არ მომხდარა საქმისწარმოების წესის დაცვით.

ქვესტანდარტი 3.3 (ავტორიზაციის დებულების მუხლი 8 / პუნქტი გ)

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა მოდულის განმახორციელებლებთან გაფორმებული პირობითი და შრომითი ხელშეკრულებები, რომლითაც დარღვეულია შრომის კოდექსით დადგენილი მოთხოვნები - შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობები. კერძოდ:

- პირობითი ხელშეკრულებები გაფორმებულია ბუღალტრული აღრიცხვის უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის საგანმანათლებლო პროგრამისთვის და ძალაში შევა პროგრამის ამოქმედების შემდეგ, თუმცა შრომის კოდექსის შესაბამისად არ მოიცავს მის არსებით პირობებს: სამუშაო დრო და დასვენების დრო; ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულებების ხანგრძლივობა და შვებულების მიცემის წესი.
- მოდულის განმახორციელებლებთან ბუღალტრული აღრიცხვის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნებისთვის გაფორმებული ხელშეკრულება შრომის კოდექსის შესაბამისად, არ მოიცავს ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულებების ხანგრძლივობასა და შვებულების მიცემის წესს.

VI. რეკომენდაციების შეჯამება

ქვესტანდარტი 1.1 (ავტორიზაციის დებულების მუხლი 6 / პუნქტი ა)

- პროგრამის მე-7 ნაწილში „სტრუქტურა და მოდულები“ წარმოდგენილია ცხრილი, რომელიც მოიცავს მოდულებს კრედიტებითა და დაშვების წინაპირობებით. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

დამტკიცებული ბუღალტრული აღრიცხვის ჩარჩო დოკუმენტი დაშვების წინაპირობებზე ინფორმაციას არ მოიცავს. ამასთან, უცხოური ენის მოდული დაშვების წინაპირობას არ ითვალისწინებს, როდესაც აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცებული პროგრამის მე-7 ნაწილი უცხოური ენის მოდულის დაშვების წინაპირობად მიუთითებს საბაზო განათლებას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და მოდულების ცხრილი ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად იყოს წარმოდგენილი.

- პროგრამის მე-9 ნაწილი „სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტების მინიჭება“ არ მოიცავს ინფორმაციას 8 საკვანძო კომპეტენციაზე. სასურველია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ბუღალტრული აღრიცხვის ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად ფორმულირდეს პროგრამის შესაბამისი ნაწილი და მოიცვას 8 საკვანძო კომპეტენციაზე ინფორმაცია.
- დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მოდული „ქართული ენა B1” მოდულზე დაშვების წინაპირობად ითვალისწინებს მხოლოდ მოდულს „ქართული ენა A2“, მოდულის სტანდარტული ჩანაწერები თითოეულ სწავლის შედეგზე მოიცავენ ინფორმაციას კრედიტების შესახებ და არ მოიცავენ ინფორმაციას მოდულის ცვლილების თარიღის შესახებ. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 2 ნოემბრის N695 ბრძანებით დამტკიცებული ქართული ენის მოდული დაშვების წინაპირობად ითვალისწინებს საბაზო განათლებას, მოიცავს ინფორმაციას ცვლილების თარიღის შესახებ და არ მოიცავს თითოეულ სწავლის შედეგისთვის გათვალისწინებულ კრედიტებს. აქედან გამომდინარე, დაწესებულებამ მოდული შესაბამისობაში უნდა მოიყვანოს ცენტრის დირექტორის ბრძანებასთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

- სასურველია მოდულები „ქართული ენა A2” და „ქართული ენა B1” შემუშავდეს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 2 ნოემბრის N695 ბრძანებით დამტკიცებულ ქართული ენის მოდულების შესაბამისად და მოიცვას დამხმარე ჩანაწერებიდან ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივი, მოდულის განხორციელების მიდგომები, მტკიცებულებების შეგროვების მიდგომები, შეფასების მიმართულებები და ინსტრუმენტები. დაწესებულებამ მოდულები შესაბამისობაში უნდა მოიყვანოს ცენტრის დირექტორის ბრძანებასთან.
- პროგრამის მატერიალური რესურსის დანართით ირკვევა, რომ დემონსტრირების ციფრულ საშუალებად წარმოდგენილი უნდა იყოს პროექტორი. ვიზიტისას, სასწავლო გარემოს დათვალიერებისას, დემონსტრირების ციფრულ საშუალებად წარმოდგენილი იყო მონიტორი. შესაბამისად, დაწესებულებამ შესაბამისობაში უნდა მოიყვანოს სასწავლო გარემო მატერიალური რესურსების დანართის შესაბამისად, ან მატერიალური რესურსების დანართის ადაპტირება უზრუნველყოს სასწავლო გარემოს შესაბამისად.

ქვესტანდარტი 1.4 (ავტორიზაციის დებულების მუხლი 6 / პუნქტი დ)

პროფესიულ სტუდენტთან და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული მარეგულირებელი დოკუმენტების მიმართებით გაიცა რეკომენდაციები. კერძოდ:

- სასურველია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გაწერილი იყოს, თუ რა შემთხვევაშია, ან ვინ არის ვალდებული წარმოადგინოს წვევამდელის მიწერის მოწმობა, რადგან აღნიშნული მოწმობის წარმოდგენა ყველასთვის სავალდებულო ვერ იქნება.
- გაიწეროს რა შემთხვევაში დგება სწავლის შედეგების მიუღწევლობის ფაქტი, რაც ხდება პროფესიული სტუდენტისთვის სტატუსის შეჩერების საფუძველი. სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესსა და პროგრამის განმახორციელებელი პირების მარეგულირებელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

წესში ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციაა მოცემული. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ერთმანეთთან შესაბამისობაში მოვიდეს ეს ორი რეგულაცია.

- სასურველია კვალიფიკაციის მინიჭების საფუძველი სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესსა და პროგრამის განმახორციელებელი პირების მარეგულირებელ წესში ერთმანეთთან შესაბამისობაში მოვიდეს, რადგან სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ამბობს, რომ კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს ყველა ზოგადი, პროფესიული სავალდებულო და პროგრამით გათვალისწინებული ყველა არჩევითი მოდულით გათვალისწინებული კრედიტები, ხოლო პროგრამის განმახორციელებელი პირების მარეგულირებელ წესში საუბარია, რომ კვალიფიკაციის მინიჭებისთვის სტუდენტმა უნდა დააგროვოს ყველა ზოგადი და პროფესიული სავალდებულო მოდულით გათვალისწინებული კრედიტები.
- მარეგულირებელი დოკუმენტით ირკვევა, რომ პროფესიული სტუდენტის დატვირთვიდან პრაქტიკის კომპონენტი არის საერთო დატვირთვის არანაკლებ 40%. შესაბამისად, სასურველია რეგულაციები შეესაბამებოდეს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და არ იყოს გამოყენებული პროფესიული სტანდარტის თავისებურებები.
- სასურველია დაწესებულების მიერ შემუშავებულ მარეგულირებელ დოკუმენტებში პროფესიული განათლებისთვის შესაბამისი ტერმინები იქნას გამოყენებული.
- სასურველია დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში გამოყენებული იყოს პროფესიული განათლებისთვის შესაბამისი ტერმინები. მაგალითად, პროფესიულ სტუდენტს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ ვერ მიენიჭება აკადემიური ხარისხი, როგორც ეს ხელშეკრულებაშია გაწერილი; ასევე, პროფესიული სტუდენტები არ გადიან აკადემიურ რეგისტრაციას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

- სასურველია პროფესიულ სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულებები სრულად მოიცავდეს ინფორმაციას სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის საფუძვლების შესახებ და არ იყოს ისინი ნაწილობრივ წარმოდგენილი ხელშეკრულებაში.
- პროგრამის განმახორციელებელი პირების მარეგულირებელ წესში საუბარია, რომ შეფასების უწყისები ინახება არქივში მუდმივად. არქივის დებულებაში საუბარია, რომ უწყისები ინახება 5 წელი. გასაუბრებით ირკვევა, რომ უწყისები უნდა ინახებოდეს 10 წელი. შესაბამისად, მნიშვნელოვანია რომ მარეგულირებელი დოკუმენტები ერთმანეთთან შესაბამისობაში მოვიდეს.

ქვესტანდარტი 2.5 (ავტორიზაციის დებულების მუხლი 7 / პუნქტი ე)

კანცელარია ახდენს სტუდენტის სტატუსთან დაკავშირებული ბრძანებების ხელით გატარებას სააღრიცხვო ჟურნალში და უკვე შემუშავებული/დასრულებული დოკუმენტის ელექტრონულ ფორმატში გადაყვანის შემდეგ მის ატვირთვას ელექტრონულ დოკუმენტბრუნვის სისტემაში. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, ნებისმიერი სახის ბრძანებების შემუშავება მოხდეს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში, რომელიც ავტომატურად მიანიჭებს სარეგისტრაციო ნომერს და არ მოხდეს მისი ატვირთვა გაელექტრონულების შემდეგ.

ქვესტანდარტი 2.7 (ავტორიზაციის დებულების მუხლი 7 / პუნქტი ზ)

სასურველია სველი წერტილი მოეწყოს შენობაში ისე, რომ სტუდენტს არ მოუწიოს შენობის გარეთ გასვლა. ასევე, სასურველია საკვანძებში სახელურები, ხელსაბანი განთავსდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

ქვესტანდარტი 2.9 (ავტორიზაციის დებულების მუხლი 7 / პუნქტი ი)

სტრატეგიულ მიმართულება - რესურსებში ცალკე გაიწეროს პროფესიული განათლების მიმართულებით დაგეგმილი ღონისძიებები. მათ შორის მატერიალური რესურსების და პროფესიული განათლების მასწავლებლების პროფესიული განვითარების ღონისძიებები.

სტუდენტზე ორიენტირებული სისტემის გაძლიერების შესახებ სტრატეგიულ მიზანში აისახოს პროფესიული სტუდენტის მხარდამჭერი აქტივობები.

სამოქმედო გეგმა არ იძლევა გაზომვად, კონკრეტულ, მიღწევადი მიზნების შესაბამის ინდიკატორებსა და ინფორმაციის წყაროებს, რომელიც დაწესებულებას მისცემს შესაძლებლობას დაინახოს პროგრესი. მაგალითად, ერთ-ერთ აქტივობას წარმოადგენს „პროფესიული პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვება“, ინდიკატორად კი გაწერილია „ამოქმედებული პროფესიული პროგრამების რაოდენობა“. გამომდინარე იქიდან, რომ არ არსებობს სამიზნე ნიშნული, შესაბამისად, ვერ იქნება გაზომვადი შესაბამისი აქტივობის შესრულება.

ქვესტანდარტი 3.1 (ავტორიზაციის დებულების მუხლი 8 / პუნქტი ა)

უნივერსიტეტის მართვის ორგანოების წარმომადგენელთა შერჩევა ხდება კონკურსის გზით, თუმცა დაწესებულების მიერ არ არის გაწერილი, თუ როგორ ხდება სხვა თანამშრომელთა შერჩევა, ან მათი პირადი საქმის წარმოება (რა დოკუმენტაციის წარმოდგენაა მათთვის სავალდებულო). შესაბამისად, მიზანშეწონილია გაიწეროს თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები დასაკავებელ თანამდებობათა შესაბამისად.

ქვესტანდარტი 3.3 (ავტორიზაციის დებულების მუხლი 8 / პუნქტი გ)

მიზანშეწონილია მოდულის განმახორციელებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები მოიცავდნენ მოდულთა დასახელებას და ხელშეკრულება გაფორმდეს არა მოწვეულ სპეციალისტთან, არამედ პროფესიული განათლების მასწავლებელთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

VII. დაწესებულების მისია

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის მხარის უპირველესი უმაღლესი დაწესებულება - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 1990 წელს დაარსებული ახალციხის ფილიალისა და 2002 წელს დაარსებული ჯავახეთის ფილიალის სამართალმემკვიდრე.

იგი აგრძელებს ისტორიული მესხეთის (ტაო-კლარჯეთის) უძველესი საგანმანათლებლო ცენტრების ეროვნულ-იდეურ მემკვიდრეობას თანამედროვე საუნივერსიტეტო ტრადიციების შექმნისა და ჩამოყალიბების საშუალებით.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიაა უმაღლესი და პროფესიული განათლების თანაარსებობით, სწავლებისა და კვლევის გზით, წვლილი შეიტანოს საზოგადოების განვითარებაში;

უზრუნველყოს ტრადიციულ და ინოვაციურ მეთოდებზე დაფუძნებული კვლევები, შრომის ბაზარზე ორიენტირებული მაღალი ხარისხის აკადემიური ცოდნა უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე, პროფესიულ განათლებასა და მთელი ცხოვრების მანძილზე;

დაეყრდნოს სამცხე-ჯავახეთის განვითარების პრიორიტეტებს, ხელი შეუწყოს არაქართულენოვანი მოსახლეობის ინტეგრირებას ქართულ საზოგადოებაში;

აღზარდოს მაღალზნეობრივი, დემოკრატიული და ჰუმანური სულისკვეთებით გამსჭვალული თაობები, რაც განაპირობებს ენის, კულტურის, ინტელექტის განვითარების უწყვეტობასა და უმაღლესი განათლების ერთიან ევროპულ სივრცესთან შერწყმას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის N52/ნ ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდება, რომლითაც ირკვევა, რომ აკადემიური საბჭო უფლებამოსილია ფაკულტეტის წარდგინებით დაამტკიცოს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი პროგრამები. ბუღალტრული აღრიცხვის საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2015 წლის 5 აგვისტოს N37 დადგენილებით (ოქმი N8), ბოლო ცვლილება შესულია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 ივნისის N42

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

დადგენილებით (ოქმი N8). შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია უფლებამოსილი ორგანოს მიერ.

ბუღალტრული აღრიცხვის საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია. საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებუალია ბუღალტრული აღრიცხვის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე (სარეგისტრაციო ნომერი - 04114-3), მისანიჭებელი კვალიფიკაცია უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში / Higher Vocational Qualification in Accounting.

აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს „საბუღალტრო აღრიცხვა და დაბეგვრა“, კოდი 0411, აღმწერი - ,,შეისწავლის ფინანსური ოპერაციების განხორციელებას, აუდიტირებასა და აღრიცხვას.“

ბუღალტრული აღრიცხვის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 3 ზოგად მოდულს ჯამური 11 კრედიტის რაოდენობით და 16 პროფესიულ მოდულს - 88 კრედიტის რაოდენობით. კვალიფიკაციის მისანიჭებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს 99 კრედიტი.

„მოდულების, ქართული ენა A2, ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულებით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით, რომელთა მოცულობა შეადგენს 30 კრედიტს. შესაბამისად, იმ პირებისთვის, რომელთაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია, კვალიფიკაციის მისანიჭებლად აუცილებელია 129 კრედიტის დაგროვება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

წარმოგიდგენთ პროგრამის და მოდულების გაანალიზებისას გამოკვეთილ მნიშვნელოვან საკითხებს:

- პროგრამის მე-7 ნაწილში „სტრუქტურა და მოდულები“ წარმოდგენილია ცხრილი, რომელიც მოიცავს მოდულებს კრედიტებითა და დაშვების წინაპირობებით. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ბუღალტრული აღრიცხვის ჩარჩო დოკუმენტი დაშვების წინაპირობებზე ინფორმაციას არ მოიცავს. ამასთან, უცხოური ენის მოდული დაშვების წინაპირობას არ ითვალისწინებს, როდესაც აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცებული პროგრამის მე-7 ნაწილი უცხოური ენის მოდულის დაშვების წინაპირობად მიუთითებს საბაზო განათლებას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და მოდულების ცხრილი ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად იყოს წარმოდგენილი.
- პროგრამის მე-9 ნაწილი „სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტების მინიჭება“ არ მოიცავს ინფორმაციას 8 საკვანძო კომპეტენციაზე. სასურველია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ბუღალტრული აღრიცხვის ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად ფორმულირდეს პროგრამის შესაბამისი ნაწილი და მოიცვას 8 საკვანძო კომპეტენციაზე ინფორმაცია.
- დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მოდული „ქართული ენა B1” მოდულზე დაშვების წინაპირობად ითვალისწინებს მხოლოდ მოდულს „ქართული ენა A2“, მოდულის სტანდარტული ჩანაწერები თითოეულ სწავლის შედეგზე მოიცავენ ინფორმაციას კრედიტების შესახებ და არ მოიცავენ ინფორმაციას მოდულის ცვლილების თარიღის შესახებ. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 2 ნოემბრის N695 ბრძანებით დამტკიცებული ქართული ენის მოდული დაშვების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

წინაპირობად ითვალისწინებს საბაზო განათლებას, მოიცავს ინფორმაციას ცვლილების თარიღის შესახებ და არ მოიცავს თითოეული სწავლის შედეგისთვის გათვალისწინებულ კრედიტებს. აქედან გამომდინარე, დაწესებულებამ მოდული შესაბამისობაში უნდა მოიყვანოს ცენტრის დირექტორის ბრძანებასთან.

- სასურველია მოდულები „ქართული ენა A2" და „ქართული ენა B1" შემუშავდეს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 2 ნოემბრის N695 ბრძანებით დამტკიცებული ქართული ენის მოდულების შესაბამისად და მოიცვას დამხმარე ჩანაწერებიდან ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივი, მოდულის განხორციელების მიდგომები, მტკიცებულებების შეგროვების მიდგომები, შეფასების მიმართულებები და ინსტრუმენტები. დაწესებულებამ მოდულები შესაბამისობაში უნდა მოიყვანოს ცენტრის დირექტორის ბრძანებასთან.
- პროგრამის მატერიალური რესურსის დანართით ირკვევა, რომ დემონსტრირების ციფრულ საშუალებად წარმოდგენილი უნდა იყოს პროექტორი. ვიზიტისას, სასწავლო გარემოს დათვალიერებისას, დემონსტრირების ციფრულ საშუალებად წარმოდგენილი იყო მონიტორი. შესაბამისად, დაწესებულებამ შესაბამისობაში უნდა მოიყვანოს სასწავლო გარემო მატერიალური რესურსების დანართის შესაბამისად, ან მატერიალური რესურსების დანართის ადაპტირება უნდა უზრუნველყოს სასწავლო გარემოს შესაბამისად.

შესაბამისად, სასურველია პროგრამაში არსებული ხარვეზები გასწორდეს და ადაპტირდეს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეკომენდაციების შესაბამისად.

ვიზიტის პერიოდში განხორციელდა პროგრამის განმახორციელებლებთან გასაუბრება. ისინი იცნობენ პროგრამას, რამდენიმე მათგანი უკვე წლებია ახორციელებს ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამის შემადგენელ მოდულებს. შესაბამისად, პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს იცნობენ და იციან პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგებზე გასაყვანად რომელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

სწავლება-სწავლის მეთოდები გამოიყენონ, თუმცა მაინც მიიჩნევენ, რომ საჭიროებენ სწავლების მეთოდების, შეფასების მიმართულებით გადამზადებას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, უნივერსიტეტმა იზრუნოს პროფესიული განათლების მასწავლებლების პროფესიულ განვითარებაზე.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- წესდებით;
- ბუღალტრული აღრიცხვის საგანმანათლებლო პროგრამით;
- ბუღალტრული აღრიცხვის ჩარჩო დოკუმენტით;
- მოდულის განმახორციელებლებთან გასაუბრებით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

_____

_____

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), მოიცავს დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტების, შეფასების წესისა და სტუდენტთა ჩარიცხვის მექანიზმების შესახებ ინფორმაციას. კატალოგი მოიცავს ინფორმაციას იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომლებიც ხორციელდება მილევად რეჟიმში, ასევე ანონსის სახით მოცემულია იმ პროგრამის შესახებ ინფორმაცია, რომლის განხორციელების უფლების მოპოვებასაც აპირებს დაწესებულება ავტორიზაციის გზით. დაწესებულებას არ ჰქონდა კატალოგი ვებგვერდზე განთავსებული. შესაბამისად, განემარტა, რომ რადგან კატალოგი წარმოადგენს დაწესებულების სავიზიტო ბარათს, ის ვებგვერდზე უნდა იყოს განთავსებული. დაწესებულებამ გაითვალისწინა გაცემული რეკომენდაცია და ვიზიტის პირველივე დღეს საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ვებგვერდზე განათავსა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგით;
- ვებ გვერდით www.sjuni.edu.ge

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

_____

_____

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია ბუღალტრული აღრიცხვის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე და შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტში მოცემულ სწავლის შედეგებთან.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით;
- ჩარჩო დოკუმენტით;

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

დაწესებულებას აკადემიური საბჭოს დადგენილებით (N33/08.05.2018 ოქმი N8) დამტკიცებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელშიც გაწერილია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღებას ახორციელებს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღებისათვის დადგენილი ვადების განსაზღვრის შემდეგ. რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განისაზღვრება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა და დოკუმენტების წარდგენის ვადა.

ადმინისტრაციული რეგისტრაციისათვის წარმოსადგენი დოკუმენტებია:

ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ორი ასლი.

ბ) საშუალო ან საბაზო განათლების დოკუმენტი ან/და განათლების დამადასტურებელი იმ დოკუმენტის დედანი და ასლი, რომლის მიღებაც შეუძლებელი იქნებოდა საშუალო განათლების დაძლევის გარეშე.

გ) მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, საჭიროების შემთხვევაში მზრუნველობის შესახებ მშობლის მიერ გაცემული ნოტარიულად დამოწმებული დოკუმენტი (მინდობილობა) არასრულწლოვანი, ქმედუუნარო აპლიკანტის შემთხვევაში და დაბადების მოწმობა;

დ) შესაბამისი განათლების სხვა ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღების შემთხვევაში (საქართველოს ფარგლებს გარეთ) სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან გაცემული დოკუმენტი - უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება (რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბერი N98/ნ ბრძანებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

„საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესისა და საფასურების დამტკიცების შესახებ“).

ე) შესაბამისი განათლების ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღების შემთხვევაში საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული აღიარების დოკუმენტი (რეგულირდება 2009 წლის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 19 მარტის N147 ბრძანებით „ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული ზოგადი განათლებისა აღიარების წესის დამტკიცების შესახებ“).

ვ) წვევამდელის მიწერის მოწმობა.

აღნიშნული დოკუმენტაციის შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა ბუღალტრული აღრიცხვის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა პირადი საქმეების გადამოწმება. პირადი საქმეების შესწავლისას გამოვლინდა, რომ ერთ პროფესიულ სტუდენტს, რომლის განათლების დოკუმენტი გაცემულია რუსეთის ფედერაციის მიერ 1994 წელს, არ აქვს წარმოდგენილი სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტი. შესაბამისად, დაწესებულებას კანონმდებლობისა და საკუთარი რეგულაციის დარღვევით ნაწარმოები აქვს ჩარიცხვის პროცედურა და პროფესიული სტუდენტის პირადი საქმის დაკომპლექტება (დანართი 2).

ვიზიტის პერიოდში, ასევე განხორციელდა პროფესიულ სტუდენტთან და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული რეგულაციების შეფასება, რომლის დროსაც გამოიკვეთა, რომ სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს თავისი რეგულაციების ერთმანეთთან შესაბამისობა და გარკვეული საკითხების კონკრეტიზაცია. კერძოდ:

- სასურველია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გაწერილი იყოს, თუ რა შემთხვევაშია, ან ვინ არის ვალდებული წარმოადგინოს წვევამდელის მიწერის მოწმობა, რადგან აღნიშნული მოწმობის წარმოდგენა ყველასთვის სავალდებულო ვერ იქნება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

_____

_____

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

- გაიწეროს რა შემთხვევაში დგება სწავლის შედეგების მიუღწევლობის ფაქტი, რაც ხდება პროფესიული სტუდენტისთვის სტატუსის შეჩერების საფუძველი. სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესსა და პროგრამის განმახორციელებელი პირების მარეგულირებელ წესში ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციაა მოცემული. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ერთმანეთთან შესაბამისობაში მოვიდეს ეს ორი რეგულაცია.
- სასურველია კვალიფიკაციის მინიჭების საფუძველი სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესსა და პროგრამის განმახორციელებელი პირების მარეგულირებელ წესში ერთმანეთთან შესაბამისობაში მოვიდეს, რადგან სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ამბობს, რომ კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს ყველა ზოგადი, პროფესიული სავალდებულო და პროგრამით გათვალისწინებული ყველა არჩევითი მოდულით გათვალისწინებული კრედიტები, ხოლო პროგრამის განმახორციელებელი პირების მარეგულირებელ წესში საუბარია, რომ კვალიფიკაციის მინიჭებისთვის სტუდენტმა უნდა დააგროვოს ყველა ზოგადი და პროფესიული სავალდებულო მოდულით გათვალისწინებული კრედიტები.
- სასურველია დაწესებულების მიერ შემუშავებული რეგულაციები ერთმანეთთან შესაბამისობაში მოვიდეს. მაგალითად, მარეგულირებელი დოკუმენტით ირკვევა, რომ პროფესიული სტუდენტის დატვირთვიდან პრაქტიკის კომპონენტი არის საერთო დატვირთვის არანაკლებ 40%. შესაბამისად, სასურველია რეგულაციები შეესაბამებოდეს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და არ იყოს გამოყენებული პროფესიული სტანდარტის თავისებურებები.
- სასურველია დაწესებულების მიერ შემუშავებულ მარეგულირებელ დოკუმენტებში პროფესიული განათლებისთვის შესაბამისი ტერმინები იქნას გამოყენებული.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

- სასურველია დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში გამოყენებული იყოს პროფესიული განათლებისთვის შესაბამისი ტერმინები. მაგალითად, პროფესიულ სტუდენტს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ ვერ მიენიჭება აკადემიური ხარისხი, როგორც ეს ხელშეკრულებაშია გაწერილი; ასევე, პროფესიული სტუდენტები არ გადიან აკადემიურ რეგისტრაციას.
- სასურველია პროფესიულ სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულებები სრულად მოიცავდეს ინფორმაციას სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის საფუძვლების შესახებ და არ იყოს ისინი ნაწილობრივ წარმოდგენილი ხელშეკრულებაში.
- პროგრამის განმახორციელებელი პირების მარეგულირებელ წესში საუბარია, რომ შეფასების უწყისები ინახება არქივში მუდმივად. არქივის დებულებაში საუბარია, რომ უწყისები ინახება 5 წელი. შესაბამის პირთან გასაუბრებით ირკვევა, რომ ნომენკლატურით უწყისები უნდა ინახებოდეს 10 წელი. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია მარეგულირებელი დოკუმენტები ერთმანეთთან მოვიდეს შესაბამისობაში.

დაწესებულებაში ფიქსირდება პროფესიული სტუდენტისთვის შეჩერების ფაქტები და მათი ასახვა ხდება პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესით;
- პროგრამის განმახორციელებელი პირების მარეგულირებელი წესით;
- პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით;
- პროფესიული სტუდენტის პირადი საქმით;
- არქივის დებულებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

- ინტერვიუირებით;
- პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემით.

შეფასება:

☐ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

■ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი დამტკიცებულია სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს N33 დადგენილებით (08.05.2018 ოქმი N8), რომელიც მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამით სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმებს.

იმ შემთხვევაში, თუ საგანმანათლებლო პროგრამა, რომელზეც პროფესიული სტუდენტი სწავლობს შეიცვალა ან გაუქმდა, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ალტერნატიული პროგრამის შეთავაზებას და/ან ხელს უწყობს პროფესიული სტუდენტის მობილობის წესით სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში (მემორანდუმის საფუძველზე) იმ ალტერნატიულ პროგრამაზე გადაყვანას, რომლის სწავლის შედეგები ყველაზე მეტად ერთგვაროვანია იმ საგანმანათლებლო პროგრამასთან, რომელზეც პროფესიული სტუდენტი სწავლობდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების ან სტანდარტიდან ერთ-ერთი კვალიფიკაციის ამოღების შემთხვევაში უნივერსიტეტი ვალდებულია შესაბამის პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტს სწავლა დაასრულებინოს და მიანიჭოს შესაბამისი კვალიფიკაცია.

2019 წლის 24 ივლისს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმებულია სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, რომელიც მოქმედებს მანამ, სანამ ერთ-ერთი (ან ორივე) მხარე არ მოისურვებს მის შეწყვეტას, ხოლო 2019 წლის 27 ივლისს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმებულია გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტთან, თუმცა სასურველია აღნიშნული მემორანდუმი მოიცავდეს მოქმედების ვადის შესახებ ინფორმაციას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებით;

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

_____

_____

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს N33 დადგენილებით (08.05.2018 ოქმი N8) დამტკიცებულია საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების დოკუმენტი, რომელიც მოიცავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემას.

სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა, სასწავლო პროცესის ხარისხის მონიტორინგი და განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი ამოცანებია. სამსახური მუშაობს დემინგის PDCA პრინციპით: P – Plan - დაგეგმვა; D – Do - განხორციელება; C – Check - შემოწმება; A – Act - რეაგირება. უნივერსიტეტში პროფესიული პროგრამების განხორციელების შეფასება ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინირებით ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტებთან ერთად.

პროგრამის შეფასება ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიერ წელიწადში ერთხელ ხორციელდება. შეფასების პროცედურა მოიცავს შემდეგ ელემენტებს:

ა) პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა გამოკითხვას;

ბ) პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის გამოკითხვას;

გ) კურსდამთავრებულთა გამოკითხვას;

დ) შიდა შეფასების ანგარიშებს.

გამოკითხვებსა და სტუდენტთა შედეგების მონიტორინგზე პასუხისმგებელია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. გამოკითხვები ტარდება ელექტრონული ფორმით (google forms) ფაკულტეტის/უნივერსიტეტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

_____

_____

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული კითხვარების საფუძველზე, დადგენილი წესით, ანალიზის შედეგები და რეკომენდაციები წარედგინება ფაკულტეტის საბჭოსა და პროგრამის ხელმძღვანელს შემდგომი რეაგირებისათვის. ფაკულტეტის საბჭოს მიერ რეკომენდაციების გაზიარების შემთხვევაში ის სავალდებულო ხდება განსახორციელებლად.

წარმოდგენილია პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიულ მასწავლებელთა და კურსდამთავრებულთა კვლევის ანგარიშები, რომლითაც ირკვევა, რომ მოდულთა განმახორციელებლები საჭიროებენ პროფესიულ განვითარებას. სამოქმედო გეგმით დაწესებულების ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს პერსონალის პროფესიული განვითარება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ პროფესიული განვითარების მიზნით ტრენინგ-კურსების, პროგრამების და სხვადასხვა ღონისძიებების შეთავაზება განხორციელდეს პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვისაც.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების დოკუმენტით;
- კვლევის ანგარიშებით;
- სამოქმედო გეგმით.

შეფასება:

- [x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- [ ] ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

_____

_____

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებასა ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, როგორც უძრავი, ისე მოძრავი ქონების სახით, რომლებიც განლაგებულია სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ორ ქალაქში - ქალაქ ახალციხესა და ახალქალაქში. ქ. ახალციხეში განლაგებულია უნივერსიტეტის ორი (I და II) სასწავლო კორპუსი და აკადემიური პერსონალისთვის განკუთვნილი საერთო საცხოვრებელი.

უნივერსიტეტის I სასწავლო კორპუსი საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია საკუთრებაში მისამართზე ქ. ახალციხე, რუსთაველის ქუჩა N113, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 24667,0 (ოცდაოთხი ათას ექვსას სამოცდაშვიდი) კვ. მ ფართობზე. შენობის აზომვითი ნახაზის საფუძველზე გამიჯნულია სასწავლო და დამხმარე ფართობები.

უნივერსიტეტის II სასწავლო კორპუსი საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია საკუთრებაში მისამართზე ქ. ახალციხე, რუსთაველის ქუჩა N122ᵃ, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 25 348,0 (ოცდახუთი ათას სამას ორმოცდარვა) კვ.მ ფართობზე. შენობა-ნაგებობების საერთო ფართი - 2606 კვ.მ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

ქალაქ ახალქალაქში განლაგებულია უნივერსიტეტის ორი (III და IV) სასწავლო კორპუსი, პედაგოგების გადამზადების ცენტრი და სტუდენტებისთვის განკუთვნილი საერთო საცხოვრებელი.

უნივერსიტეტის III სასწავლო კორპუსი საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია სარგებლობის უფლებით მისამართზე ქ. ახალქალაქი, დ. აღმაშენებლის ქუჩა N119, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 646,0 (ექვსას ორმოცდაექვსი) კვ. მ ფართობზე. განაშენიანების ფართი - 645.4 კვ.მ.

უნივერსიტეტის IV სასწავლო კორპუსი საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია სარგებლობის უფლებით მისამართზე ქ. ახალქალაქი, დ. აღმაშენებლის ქუჩა N119/2, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 58564,0 (ორმოცდათვრამეტი ათას ხუთას სამოცდაოთხი) კვ.მ. ამ ეტაპზე IV სასწავლო კორპუსში არ მიმდინარეობს სასწავლო პროცესი.

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	**მისამართი**	**კვ.მ.**
1	ქ. ახალციხე, რუსთაველის ქუჩა N113	24667,0 კვ.მ
2	ქ. ახალციხე, რუსთაველის ქუჩა N122ა	25 348,0 კვ.მ
3	ქ. ახალქალაქი, დ. აღმაშენებლის ქუჩა N119	646,0 კვ.მ
4	ქ. ახალქალაქი, დ. აღმაშენებლის ქუჩა N119/2	58564,0 კვ.მ

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საჯარო რეესტრის ამონაწერებით.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

_____

_____

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განხორციელების ადგილია ქალაქი ახალციხე, რუსთაველის ქუჩა N122ᵃ. პროგრამის გარემო (AB) გათვლილია 15 პროფესიულ სტუდენტზე და აკმაყოფილებს პროგრამით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. აღჭურვილობის გათვალისწინებით პროგრამის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეიძლება განისაზღვროს 15-ით.

პროგრამის მატერიალური რესურსის დანართით ირკვევა, რომ დემონსტრირების ციფრულ საშუალებად წარმოდგენილი უნდა იყოს პროექტორი. ვიზიტისას, სასწავლო გარემოს დათვალიერებისას, დემონსტრირების ციფრულ საშუალებად წარმოდგენილი იყო მონიტორი. შესაბამისად, დაწესებულებამ შესაბამისობაში უნდა მოიყვანოს სასწავლო გარემო მატერიალური რესურსების დანართის შესაბამისად, ან მატერიალური რესურსების დანართის ადაპტირება უნდა უზრუნველყოს სასწავლო გარემოს შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით;
- ვიზუალური დათვალიერებით;

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

შენობას გააჩნია სასწავლო პროგრამის მოთხოვნათა შესაბამისი სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი, სივრცე ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობისათვის, ბიბლიოთეკა, სანიტარული კვანძები. შენობაში განთავსებული სასწავლო პროგრამისთვის განკუთვნილ ფართში არის როგორც ბუნებრივი, ასევე ხელოვნური განათების შესაძლებლობა.

შენობა ელექტროფიცირებული და გაზიფიცირებულია, შენობაში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა.

სასწავლო კაბინეტები უზრუნველყოფილია ბუნებრივი განათებით. შენობაში არის სველი წერტილები, სანიტარული კვანძები. სველი წერტილები აღჭურვილია ჰიგიენის საშუალებებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით;
- გადახდის ქვითრებით (სს „ენერგო-პრო-ჯორჯია“; სს „საქორგგაზი“; სს „სილქნეტი“ - ინტერნეტის სარგებლობის ხარჯი; სს „სილქნეტი“ - საქალაქთაშორისო სატელეფონო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

_____

_____

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

მომსახურების ხარჯი; სსიპ - „დაცვის პოლიციის დეპარტამენტი“ - შენობა-ნაგებობის დაცვის ხარჯი);

- მასალა-ნედლეულის შესყიდვის შესახებ სახელმწიფო ხელშეკრულებით.

შეფასება:

[x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში შემუშავებულია ბიბლიოთეკის დებულება და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომელიც განსაზღვრავს ბიბლიოთეკის ფუნქციებს, მის სტრუქტურას, სამუშაო განრიგს, ბიბლიოთეკიდან წიგნების გაცემისა და დაბრუნების წესს, ასევე ბიბლიოთეკაში ქცევის, წიგნთან მოპყრობისა და კომპიუტერით სარგებლობის წესებს.

ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და საინფორმაციო ხასიათის ინსტრუქციები. სათანადო ინვენტარით აღჭურვილია სამკითხველო დარბაზი, რომელშიც განთავსებულია სტუდენტისთვის სამუშაო სივრცე (მაგიდა, სკამი), ინტერნეტში ჩართული კომპიუტერები, კომბაინი (პრინტერი, ასლის გადამღები და სკანერი).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

_____

_____

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

ვებგვერდზე ასევე ინტეგრირებულია ელექტრონული საბიბლიოთეკო კატალოგი (OpenBiblio). მისი საშუალებით ხდება მთელი საბიბლიოთეკო პროცესის ავტომატიზაცია: ლიტერატურის ნებისმიერი სახეობის (წიგნები, დისკები, პერიოდული გამოცემები თუ სხვა) ბიბლიოგრაფიული დამუშავება – ელექტრონულ კატალოგში შეტანა, მკითხველთა აღრიცხვა, მკითხველებზე ლიტერატურის გაცემის აღრიცხვა და სხვა. ბიბლიოთეკაში იწარმოება ბიბლიოთეკის ფონდის საინვენტარო ჟურნალი.

ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამიდან შერჩევითობის პრინციპით გადამოწმდა ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები. ექსპერტთა მიერ შერჩევითობის პრინციპით შერჩეული წიგნები ყველა აღმოჩნდა ბიბლიოთეკაში საბიბლიოთეკო წესით დამუშავებული.

საბიბლიოთეკო რესურსებისა და სერვისების განახლების, გაუმჯობესების მიზნით, ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს სპეციალურ ჟურნალში ჩაწეროს საბიბლიოთეკო საჭიროებები და შენიშვნები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ბიბლიოთეკის დებულებით;
- ბიბლიოთეკის სარგებლობის წესით;
- საინვენტარო ჟურნალით;
- საბიბლიოთეკო კატალოგით;
- ინტერვიუირებით ბიბლიოთეკარებთან;
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში ფუნქციონირებს ინფორმაციული ტექნოლოგიების განყოფილება, რომლის ძირითადი ფუნქციაა უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის დაგეგმვა, გაშლა და გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რაც მოიცავს აპარატურულ უზრუნველყოფას (სერვერული და ქსელური აპარატურა), პროგრამულ უზრუნველყოფას და შესაბამის სერვისებს; ტექნიკურად და პროგრამულად გაუმართავი კომპიუტერული ტექნიკის შეკეთებას; უნივერსიტეტის ინტერნეტ მომსახურების და შიდა ქსელური სერვისების პროგრამულ უზრუნველყოფას.

დაწესებულება იყენებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, აქვს მუდმივი ინტერნეტი, შიდა ქსელი და უკაბელო შიდა ქსელი (WiFi). ადმინისტრაციისთვის გამოყოფილი ოთახები აღჭურვილია სათანადო ტექნიკით (კომპიუტერებით, პრინტერებით). უნივერსიტეტს აქვს ვებ-გვერდი www.sjuni.edu.ge .

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები თანაბრად ხელმისაწვდომია როგორც პროფესიული სტუდენტებისთვის, ასევე პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. ისინი გამოიყენება როგორც საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში. აუდიტორია აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკითა და სადემონსტრაციო საშუალებით. კომპიუტერები ჩართულია ინტერნეტში.

უნივერსიტეტი ჩართულია დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემაში www.eflow.emis.ge . ასევე, უნივერსიტეტის მიერ ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემის წარმოება www.evet.emis.ge .

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

სასწავლო კორპუსში დამონტაჟებულია ვიდეო სამეთვალყურეო კამერები, რომლითაც უზრუნველყოფილია უსაფრთხოება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ინფორმაციული ტექნოლოგიების განყოფილების დებულებით;
- ინტერნეტის მიწოდების შესახებ ხელშეკრულებით;
- გადახდის ქვითრებით;
- ვებგვერდით;
- დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემით.
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემით;
- ვიზუალური დათვალიერებით;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

_____

_____

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

საქმისწარმოება ხორციელდება სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქმისწარმოების ერთიანი წესის შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილებით (N24/17.07.2019 ოქმი N9). საქმისწარმოების ერთიანი წესი არეგულირებს უნივერსიტეტში დოკუმენტბრუნვის სისტემის, ელექტრონული დოკუმენტებისა და ამგვარ დოკუმენტებზე მუშაობის წესებს, სხვა უწყებიდან შემოსული წერილების, განცხადებების, საჩივრების და სხვა დოკუმენტების დამუშავებისა და შენახვის წესებს. აგრეთვე, ნორმატიული დოკუმენტის მომზადებისა და მიღების წესს.

უნივერსიტეტში საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული და მატერიალური ფორმით. უნივერსიტეტში საქმისწარმოების პროცესზე, სტრუქტურულ ერთეულებში დოკუმენტებზე მუშაობის წესების დაცვაზე, ტექნიკურ და მეთოდურ მომსახურებაზე პასუხისმგებელია კანცელარია.

უნივერსიტეტში გამოცემული სამართლებრივი აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვას აწარმოებს კანცელარია, რომელიც წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს. მართვის სისტემის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით 2015 წლიდან უნივერსიტეტი საქმისწარმოებას ახორციელებს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემით - www.eflow.emis.ge, სადაც უნივერსიტეტის კანცელარიის მიერ ერთიანი, ცენტრალიზებული წესით წარმოებს მატერიალური და ელექტრონული დოკუმენტების რეგისტრაცია.

მიმდინარეობს შემდეგი სახის დოკუმენტაციის აღრიცხვა:

1. შემოსული განცხადებები;
2. შემოსული და გასული კორესპოდენციები;
3. ცნობები;
4. ბრძანებები (თანამშრომლთა ბრძანებები, სტუდენტთა ბრძანებები, საფინანსო ბრძანებები, მივლინებების ბრძანებები, საერთო ხასიათის ბრძანებები, მსმენელთა ბრძანებები);
5. მივლინებების მოწმობები;
6. მემორანდუმები და ხელშეკრულებები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

7. უნივერსიტეტის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტების და სხვადასხვა დოკუმენტაციის კანცელარიაში დამოწმებული ასლები;

ხელმოწერილი ბრძანებები რეგისტრირდება ინდექსის მიხედვით სააღრიცხვო ჟურნალში. ეს ინდექსებია:

- 1/01 - თანამშრომელთა ბრძანებების ინდექსი (თანამშრომელთა მიღება-გათავისუფლება, ხელშეკრულების გაფორმება, შვებულებაში გასვლა, საათობრივი წესით ანაზღაურება, პედაგოგთა მოწვევა, კონკურსების გამოცხადება);
- 2/01 - სტუდენტთა ბრძანებების ინდექსი (ჩარიცხვა, სტატუსის აღდგენა, შეჩერება, შეწყვეტა, შიდა და გარე მობილობა);
- 3/01 - მივლინებების ბრძანებების ინდექსი;
- 1 - საერთო ხასიათის ბრძანებების ინდექსი (უნივერსიტეტის ძირითადი საქმიანობა);
- 01 - მსმენელთა ბრძანებების ინდექსი (უწყვეტი განათლებისა და აბიტურიენტთა მოსამზადებელ კურსების მსმენელთა ჩარიცხვა);
- 3/001 - საფინანსო ბრძანებების ინდექსი.

დაწესებულების მიერ წარმოებული სააღრიცხვო ჟურნალები არ არის ინდექსირებული, ზონარგაყრილი, დანომრილი და ბეჭედდასმული უფლებამოსილი პირის მიერ. შესაბამისად, მათი გაფორმება არ მომხდარა საქმისწარმოების წესის დაცვით (დანართი 3). ამასთან, სტუდენტთა ბრძანებების შემუშავება არ ხდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემით. შესაბამისად, კანცელარია ახდენს სტუდენტის სტატუსთან დაკავშირებული ბრძანებების ხელით გატარებას სააღრიცხვო ჟურნალში და ამ დოკუმენტის ელექტრონულ ფორმატში გადაყვანის შემდეგ მის ატვირთვას ელექტრონულ დოკუმენტბრუნვის სისტემაში (დანართი 4; დანართი 5; დანართი 6). შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ნებისმიერი სახის ბრძანებების შემუშავება მოხდეს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში, რომელიც ავტომატურად მიანიჭებს სარეგისტრაციო ნომერს და არ მოხდეს მისი ატვირთვა გაელექტონულების შემდეგ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

დაწესებულება ახორციელებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების საინფორმაციო მართვის სისტემას (evet.emis.ge) - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების რეესტრს, რომელიც ხელმძღვანელობს რეესტრის წარმოების საერთო წესით. რეესტრში ასახულია ინფორმაცია სტუდენტებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პირების შესახებ. რეესტრის გადამოწმებით ირკვევა, რომ პროფესიული სტუდენტების შესახებ დროულად ხორციელდება სტატუსის ცვლილების შესახებ ინფორმაციის ასახვა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საქმისწარმოების ერთიანი წესით;
- ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემით;
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების საინფორმაციო მართვის სისტემით;
- სტუდენტთა ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალით;
- ბრძანებებით;
- ინვერვიუირებით.

შეფასება:

☐ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☒ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალის, პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

_____

_____

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;

გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენს ინფრასტრუქტურის და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მართვის სამსახური, რომელიც თავის საქმიანობას ახორციელებს ინფრასტრუქტურის და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მართვის სამსახურის დებულების შესაბამისად, რომელიც წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილებითაა დამტკიცებული (დადგენილება N96 ოქმი N16 / 11.12.2013).

სასწავლო კორპუსში დაცულია ხანძარსაწინააღმდეგო ნორმები. ყველა სართულზე გამოკრულია უნივერსიტეტის ხელმძღვანელი პირის მიერ დამტკიცებული საევაკუაციო გეგმები. დამონტაჟებულია ცეცხლმაქრი გამოყენების ინსტრუქციის დეტალური მითითებით. ცეცხლმაქრები დამუხტული და ვადიანია. თვალსაჩინო ადგილას გაკრულია ხანძრის პირობებში სახანძრო-სამაშველო სამსახურის გამოძახების საკონტაქტო ნომერი „112“. სასწავლო კორპუსს გააჩნია დამატებითი საევაკუაციო გასასვლელები.

სასწავლო კორპუსში ფუნქციონირებს კვალიფიციური სამედიცინო პერსონალით დაკომპლექტებული სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია საჭირო ინვენტარით, ბუნებრივი და ხელოვნური განათებით. სამედიცინო კაბინეტი მომარაგებულია პირველადი სამედიცინო დახმარებისთვის საჭირო მედიკამენტით. მედიკამენტების გაცემა სტუდენტებისა და პერსონალისთვის უფასოა. მიმდინარეობს მომართვიანობის აღრიცხვა სპეციალურ ჟურნალში.

2018 წლის 24 დეკემბერს გაფორმებულია ელექტრონული ტენდერით სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება შსს სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტსა და უნივერსიტეტს შორის. ხელშეკრულების საგანია სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო კორპუსების,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

საერთო საცხოვრებლების, დამხმარე შენობა-ნაგებობების, ასევე მათში განთავსებულ მატერიალურ ფასეულობათა და ტერიტორიის სტაციონალური დაცვა, მართლწესრიგის დაცვა სასწავლო კორპუსებისა და საერთო საცხოვრებლების შიგნით, რომლებიც მდებარეობენ შემდეგ მისამართებზე: ქ. ახალციხეში, რუსთაველის ქ. N113 და რუსთაველის ქ. N122ᵃ-ში, ქ. ახალქალაქში, აღმაშენებლის ქ. N119, 119/1, 119/2-ში. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადად განსაზღვრულია 2019 წლის 01 იანვრიდან 2019 წლის 31 დეკემბრის 24:00 საათის ჩათვლით პერიოდი, ხოლო ხელშეკრულების მოქმედების ვადად განსაზღვრულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 2020 წლის 31 იანვრის ჩათვლით პერიოდი.

სასწავლო კორპუსის ყველა სართულზე და ტერიტორიის მთელ პერიმეტრზე დამონტაჟებულია ჩაწერის ფუნქციით სამეთვალყურეო კამერები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ინფრასქტრუქტურის და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მართვის სამსახურის დებულებით;
- გაფორმებული ხელშეკრულებით;
- პირადი საქმით;
- ინტერვიუირებით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებისთვის. ბუღალტრული აღრიცხვის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება განსაზღვრულია მეორე სასწავლო კორპუსის N103 აუდიტორიაში. შენობის პირველ სართულზე წვდომა შესაძლებელია პანდუსით. სსსმ პროფესიულ სტუდენტებს ექნებათ წვდომა სასწავლო აუდიტორიასთან, ბიბლიოთეკასთან. ეზოდან არის შესაძლებელი შენობაში მოწყობილ სანიტარულ კვანძში მოხვედრა კომენდატის დახმარებით, თუმცა სასურველია სველი წერტილი მოეწყოს შენობაში ისე, რომ სტუდენტს არ მოუწიოს შენობის გარეთ გასვლა. ასევე, სასურველია საკვანძებში სახელურები, ხელსაბანი განთავსდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად. ბიბლიოთეკარი არის პასუხისმგებელი მოემსახუროს სსსმ პროფესიულ სტუდენტს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ბიბლიოთეკის სარგებლობის წესით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტის ვებგვერდის მისამართია www.sjuni.edu.ge, რომელიც ფუნქციონირებს ქართულ და ინგლისურ ენებზე. www.registration.ge -ზე გადამოწმებით ირკვევა, რომ დომენის მოქმედების ვადა 2020 წლის 29 მაისამდეა.

ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. მასზე განთავსებულია უსდ-ს საკონტაქტო ინფორმაცია, მისია, სტრუქტურა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვა. ასევე, ვებგვერდზე განთავსებულია სწავლა-სწავლებისა და შეფასების პროცედურები, ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი, მარეგულირებელი დოკუმენტები, სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმები, დაწესებულების წლიური ანგარიშები და სხვა.

ვებგვერდზე ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად. ბოლო სიახლე განთავსებულია მიმდინარე წლის 15 დეკემბერს.

ინტერნეტპროვაიდერთან (სს „სილქნეტი“) გაფორმებულია არასტანდარტული პირობებით ხელშეკრულება, რომელიც მოქმედებს 2019 წლის 1 იანვრიდან 2020 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვებგვერდით www.sjuni.edu.ge
- ვებგვერდით www.registration.ge
- სს სილქნეტთან გაფორმებული ხელშეკრულებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

_____

_____

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

შეფასება:

- ■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმა შემუშავებულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 12 თებერვლის N3 დადგენილებით (ოქმი N1) დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის მიხედვით.

2018 წლის 20 დეკემბრის N83 დადგენილებით შექმნილმა ჯგუფმა მუშაობა 2014-2019 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის ანალიზით დაიწყო. პირველ ეტაპზე მოხდა SWOT-ანალიზის (ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების ანალიზი) შემუშავება, პრობლემების იდენტიფიცირება და ახალი იდეების, მიმართულებების დადგენა, რაც აისახა განახლებულ 2019-2025 წლების სტრატეგიულ გეგმაში, რომელიც დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 28 მარტის N15 დადგენილებით (ოქმი N4). სტრატეგიული გეგმა შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, ორიენტირებულია მის განხორციელებაზე და ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს. სტრატეგიული გეგმაში სტრატეგიულ მიზნებთან და ამოცანებთან ერთად გაწერილია აქტივობები.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული მიმართულებებია:

1. კვლევა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

_____

_____

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

2. სწავლა-სწავლება;
3. რესურსები;
4. მართვის სისტემა;
5. ინტერნაციონალიზაცია და პარტნიორული ურთიერთობები.

მეორე სტრატეგიული მიმართულება (სწავლა-სწავლება) მოიცავს პროფესიული განათლების მდგრადობის და უწყვეტი განათლების ხელშეწყობის მიზნებს. ამ მიზნის მისაღწევად დაწესებულების ამოცანაა: პროფესიული განათლების სტრუქტურული ერთეულის ჩამოყალიბება ახალქალაქში და შესაბამისი ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა; უნივერსიტეტის სტრუქტურასა და რეგულაციებში პროფესიული განათლების ასახვა კანონმდებლობის შესაბამისად; ამოცანა 2.3.3 „პროფესიული საგანმანათლებლო, მოკლე ციკლის საგანმანათლებლო, ერთობლივი პროფესიული საგანმანათლებლო /გაცვლითი პროფესიული საგანმანათლებლო, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავება“ მოიცავს: პროფესიულ პროგრამებში პრიორიტეტული მიმართულებების იდენტიფიცირებას და პროგრამის ტიპის განსაზღვრას; პროფესიული პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვებას; კავშირების გააქტიურებას ბიზნესთან, დამსაქმებლებთან და პარტნიორებთან ერთად დუალური პროგრამების განვითარებას.

მესამე სტრატეგიული მიმართულება (რესურსები) არ ასახავს პროფესიული განათლების მიმართულებით დაგეგმილ აქტივობებს, როგორც მატერიალურ, ისე ადამიანური რესურსების მიმართულებით. შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა: სტრატეგიულ მიმართულება - რესურსებში ცალკე გაიწეროს პროფესიული განათლების მიმართულებით დაგეგმილი ღონისძიებები. მათ შორის მატერიალური რესურსების და პროფესიული განათლების მასწავლებლების პროფესიული განვითარების ღონისძიებები.

მეოთხე სტრატეგიული მიმართულება (მართვის სისტემა) მიზნად ისახავს პროფესიული პროგრამების განხორციელების ოპტიმალური ორგანიზაციული სისტემის შექმნას. თუმცა ორგანიზაციული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

_____

_____

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

სტრუქტურის მიმართულებით დაგეგმილი ღონისძიებები გაწერილია მეორე სტრატეგიულ მიმართულებაშიც. სტრატეგიული მიზანი: მართვის სტუდენტზე ორიენტირებული სისტემის გაძლიერება - არ მოიცავს პროფესიულ სტუდენტებთან დაკავშირებულ ღონისძიებებს. დაწესებულების ადმინისტრაციის განმარტებით, სტუდენტების ხელშემწყობ და მხარდამჭერ ღონისძიებებთან დაკავშირებით, ისინი მოიაზრებენ პროფესიულ სტუდენტსაც. ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, სტუდენტზე ორიენტირებული სისტემის გაძლიერების შესახებ სტრატეგიულ მიზანში, აისახოს პროფესიული სტუდენტის მხარდამჭერი აქტივობებიც.

სტრატეგიული გეგმის რეალიზაციის მიზნით დაწესებულებას შემუშავებული აქვს სამწლიანი (2019-2021 წლები) სამოქმედო გეგმა, რომელშიც განსაზღვრულია ამოცანები, აქტივობები, მათი შესრულების ვადები, პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები/პირები და ინდიკატორები. თუმცა სამოქმედო გეგმა არ იძლევა გაზომვად, კონკრეტულ, მიღწევადი მიზნების შესაბამის ინდიკატორებსა და ინფორმაციის წყაროებს, რომელიც დაწესებულებას მისცემს შესაძლებლობას დაინახოს პროგრესი. მაგალითად, ერთ-ერთ აქტივობას წარმოადგენს „პროფესიული პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვება“, ინდიკატორად კი გაწერილია „ამოქმედებული პროფესიული პროგრამების რაოდენობა“. გამომდინარე იქიდან, რომ არ არსებობს სამიზნე ნიშნული, შესაბამისად, ვერ იქნება გაზომვადი შესაბამისი აქტივობის შესრულება.

სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით ირკვევა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ყოველწლიურად უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულების/შეუსრულებლობის შესახებ ინფორმაციის შეჯამებას, გაანალიზებას და შესაბამისი ანგარიშის წარდგენას აკადემიური საბჭოს წინაზე. შეფასების შედეგებიდან გამომდინარე, შესაძლოა განხორციელდეს სტრატეგიული მიზნების გადახედვა და სამოქმედო გეგმის ცვლილება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით;
- სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმით;
- სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამოქმედო გეგმით (2019-2021).

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის N52/ნ ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდება. უნივერსიტეტის მართვის ორგანოების წარმომადგენელთა შერჩევა ხდება კონკურსის გზით, თუმცა დაწესებულების მიერ არ არის გაწერილი, თუ როგორ ხდება სხვა თანამშრომელთა შერჩევა, ან მათი პირადი საქმის წარმოება (რა დოკუმენტაციის წარმოდგენაა მათთვის სავალდებულო). შესაბამისად, მიზანშეწონილია გაიწეროს თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები დასაკავებელ თანამდებობათა შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

_____

_____

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

პროფესიული პროგრამის განმახორციელებელი პირების საქმიანობის მარეგულირებელი წესი დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს N33 დადგენილებით (08.05.2018 - ოქმი N8), რომლითაც ირკვევა, რომ პროფესიული მასწავლებლების მიღება ხდება შესაბამისი კვალიფიკაციის და/ან პროფესიით მუშაობის არანაკლებ სამი წლის სტაჟის გათვალისწინებით, პროგრამის ხელმძღვანელის და ფაკულტეტის დეკანის რეკომენდაციის საფუძველზე. ასევე, შესაძლებელია პროფესიული განათლების მასწავლებლის თანამდებობის დასაკავებლად რექტორის ბრძანებით გამოცხადდეს კონკურსი. კონკურსის ჩატარების პირობები და წესი განისაზღვრება კონკურსის ჩატარების შესახებ ბრძანებით.
პროფესიული განათლების მასწავლებელთა, ბიბლიოთეკართა და მედდების კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს და მათ პირად საქმეში წარმოდგენილია კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- წესდებით;
- პროფესიული პროგრამის განმახორციელებელი პირების საქმიანობის მარეგულირებელი წესით;
- პირადი საქმეებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროფესიული პროგრამის განმახორციელებელი პირების საქმიანობის მარეგულირებელი წესი დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს N33 დადგენილებით (08.05.2018 - ოქმი N8), რომლითაც ირკვევა, რომ პროფესიული მასწავლებლების მიღება ხდება შესაბამისი კვალიფიკაციის და/ან პროფესიით მუშაობის არანაკლებ სამი წლის სტაჟის გათვალისწინებით, პროგრამის ხელმძღვანელის და ფაკულტეტის დეკანის რეკომენდაციის საფუძველზე. ასევე, შესაძლებელია პროფესიული განათლების მასწავლებლის თანამდებობის დასაკავებლად რექტორის ბრძანებით გამოცხადდეს კონკურსი. კონკურსის ჩატარების პირობები და წესი განისაზღვრება კონკურსის ჩატარების შესახებ ბრძანებით.

პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს და მათ პირად საქმეში წარმოდგენილია კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები.

ბუღალტრული აღრიცხვის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში 15 პროფესიულ სტუდენტზე 9 განმახორციელებელი პირია გათვალისწინებული.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული პროგრამის განმახორციელებელი პირების საქმიანობის მარეგულირებელი წესით;
- პირადი საქმეებით.

შეფასება:

[redacted]ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

_____

_____

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროფესიული პროგრამის განმახორციელებელი პირების საქმიანობის მარეგულირებელი წესი დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს N33 დადგენილებით (08.05.2018 - ოქმი N8), რომლითაც ირკვევა, რომ პროფესიული მასწავლებლების მიღება ხდება შესაბამისი კვალიფიკაციის და/ან პროფესიით მუშაობის არანაკლებ სამი წლის სტაჟის გათვალისწინებით, პროგრამის ხელმძღვანელის და ფაკულტეტის დეკანის რეკომენდაციის საფუძველზე.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა მოდულის განმახორციელებლებთან გაფორმებული პირობითი და შრომითი ხელშეკრულებები, რომლითაც დარღვეულია შრომის კოდექსით დადგენილი მოთხოვნები - შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობები. კერძოდ:

- პირობითი ხელშეკრულებები გაფორმებულია ბუღალტრული აღრიცხვის უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის საგანმანათლებლო პროგრამისთვის და ძალაში შევა პროგრამის ამოქმედების შემდეგ, თუმცა შრომის კოდექსის შესაბამისად არ მოიცავს მის არსებით პირობებს: სამუშაო დრო და დასვენების დრო; ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულებების ხანგრძლივობა და შვებულების მიცემის წესი.
- მოდულის განმახორციელებლებთან ბუღალტრული აღრიცხვის მეხუთე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნებისთვის გაფორმებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

ხელშეკრულება შრომის კოდექსის შესაბამისად, არ მოიცავს ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულებების ხანგრძლივობასა და შვებულების მიცემის წესს (დანართი 7; დანართი 8; დანართი 9).

ასევე, მიზანშეწონილია მოდულის განმახორციელებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები მოიცავდნენ მოდულთა დასახელებას და ხელშეკრულებები გაფორმდეს არა მოწვეულ სპეციალისტთან, არამედ პროფესიული განათლების მასწავლებელთან.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული პროგრამის განმახორციელებელი პირების საქმიანობის მარეგულირებელი წესით;
- შრომითი ხელშეკრულებებით;
- პირობითი ხელშეკრულებებით.

შეფასება:

☐ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☒ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (სპეციალიზაციის / სწავლის დეტალური სფეროს კოდის მითითებით)	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები	სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა მისამართების მიხედვით)	ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით
1	ბუღალტრული აღრიცხვა (მოდულური)	მეხუთე დონე	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში (0411)	99	129	ქართული	ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. N122ა	0	15

იმ პროგრამების შესახებ ინფორმაცია, რომლებსაც დაწესებულება განახორციელებს უკვე ჩარიცხული პრიოფესიული სტუდენტებისათვის, მილევად რეჟიმში, პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე.

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (სპეციალიზაციის / სწავლის დეტალური სფეროს კოდის მითითებით)	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები	სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა (მისამართების მიხედვით)
1	მასაჟისტ-რეაბილიტატორი	მეხუთე საფეხური	მასაჟისტ-რეაბილიტატორის მეხუთე საფეხურის პროფესული კვალიფიკაცია (090656)	114	144	ქართული	ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. N122ა	17

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

_____

_____

(ქალაქი, წელი)

PDF Eraser Free

2	პრაქტიკოსი ექთანი	მეხუთე საფეხური	პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (090552)	134	164	ქართული	ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. N122ᵃ	20

IX. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

დანართი 2 - პროფესიული სტუდენტის პირადი საქმე;

დანართი 3 - სტუდენტთა ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი;

დანართი 4 - ბრძანება;

დანართი 5 - ბრძანება;

დანართი 6 - ბრძანება;

დანართი 7 - შრომითი ხელშეკრულება;

დანართი 8 - შრომითი ხელშეკრულება;

დანართი 9 - შრომითი ხელშეკრულება;

5 თებერვალი, 2020

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

_____

_____

(ქალაქი, წელი)